

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 6 “ 7 “ სექტემბერი 2017 წ.
ბრძ. №01-01/59 “ 8 “ სექტემბერი 2017 წ.

რექორი

გიორგი მათიაშვილი

მობილობის და კრედიტების აღიარების წესი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

თბილისი

2017

თავი პირველი

მობილობა

1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული `უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ №10/ნ ბრძანების და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (გთუნი-ს) შინაგანაწესის შესაბამისად არეგულირებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა გადმოსვლის (მობილობა), გთუნი-ს ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა გადასვლის (შიდა მობილობა) და კრედიტების აღიარების პროცედურებს.

2. სტუდენტთა მობილობის და შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

2.1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

2.2. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დგინდება:

- უნივერსიტეტის მიერ, მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა, ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა;
- ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.

2.3. გთუნი, მისთვის განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე არეგისტრირებს მობილობის ვაკანტურ ადგილებს საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

2.4. სტუდენტთა შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო განყოფილება.

3. მობილობის უფლების მქონე პირი

3.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

3.2. მობილობის უფლება ასევე აქვს 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

3.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება გთუნი-ს და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

3.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია გთუნი-ს შინაგანაწესთან.

3.5. სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან სტუდენტის სტატუსზე შეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.

4. მობილობის უფლების შეზღუდვა

4.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4.2. დაუშვებელია მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მობილობა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

4.3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

4.4. მაგისტრანტს მობილობისა და შიდა მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

5. დაწესებულების მიერ მობილობისათვის ადგილების რეგისტრაცია

5.1. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

5.2. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები საფეხურებისა და ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ელექტრონულ პორტალზე.

5.3. ცენტრი ამოწმებს გთუნი-ს მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისობას მისთვის აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის, არსებული სტუდენტების რაოდენობისა და გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მონაცემებთან. გადამოწმების პროცესში ცენტრი იყენებს რეესტრში არსებულ ინფორმაციას. გთუნი-ს მიერ რეესტრში ინფორმაციის შეუტანლობა, ხარვეზის დადგენის, ხოლო მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მობილობისათვის ადგილების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

6. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

6.1. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით.

6.2. რეგისტრაცია ხორციელდება 11- ნიშნა პირადი ნომრით, რისი შეყვანის შემდეგაც ელექტრონულ პორტალზე აისახება სტუდენტის სტატუსი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

6.3. სტუდენტი უფლებამოსილია თავის ინდივიდუალურ გვერდზე აირჩიოს არაუმეტეს 5 ფაკულტეტის ან საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე ფაკულტეტსა ან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა.

7. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება

7.1. თუ გთუნი-ს რომელიმე ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, გთუნი-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ გთუნი-ს მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

7.2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, სასწავლო უნივერსიტეტი ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ვაკანტური ადგილი, გთუნი-ს მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი მობილობის მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება გთუნი-სათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

7.3. მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი წესით.

7.4. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი გთუნი-ს შესაბამის ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის პირადი საქმის ასლები. დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ასლების მიღებაში ხელის შეშლა.

7.5. მობილობის მსურველი, რომელიც გთუნი-ს მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სასწავლო უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა.

8. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

8.1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში

ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.

8.2. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა გთუნი-ს მიერ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში გამოიცემა ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

8.3. რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება მის მიერ დადგენილ ვადებში.

9. სტატუსის შეწყვეტა მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული სტუდენტებისათვის

9.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის მონაცემების საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტი გამოსცემს ბრძანებას სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გასცემს ბრძანებიდან ამონაწერს, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტს და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა სასწავლო უნივერსიტეტში.

9.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 7 მარტამდე.

10. შიდა მობილობა

10.1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს გთუნი.

10.2. შიდა მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს ენიჭება სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

10.3. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის თავსებადობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

10.4. შიდა მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი გთუნი-ს რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით. გთუნი-ს შესაბამისი ფაკულტეტი სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სტუდენტის ძველი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, სასწავლო განყოფილებათა შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

10.5. განცხადებას უნდა დაერთოს სასწავლო ბარათი და პირადობის მოწმობის ასლი.

10.6. შიდა მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი (მიმღები) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით. პროგრამული თავსებადობისთვის აუცილებელი დამატებითი კრედიტების ასათვისებლად მას დაეკისრება დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა.

10.7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება გთუნი-ს რექტორის ბრძანებით.

თავი მეორე **კრედიტების აღიარება**

1. კრედიტების აღიარების პრინციპები

1.1. გთუნი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

1.2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებული იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

1.4. უცხოეთში მიღებული განათლების, ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობას შეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/წ ბრძანების შესაბამისად.

1.5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის

მიუხედავად.

1.6. მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური და კურსის/კომპონენტის მოცულობისა და შეფასების შესაბამისობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS).

1.7. გთუნი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS სისტემის შესაბამისად.

1.8. აღიარებას ექვემდებარება ასევე სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ისეთი სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტები, რომლის ეკვივალენტი არ არის შემოთავაზებული გთუნი-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

1.9. სასწავლო კურსის აღიარება ხდება მისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. მისი არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა, თემატიკა და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს კურსის/კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებზე. ანალიზისთვის არასაკმარისი ინფორმაციის არსებობისას, ფაკულტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს ჩაუტაროს გამოცდა/გასაუბრება და ამ გზით დაადგინოს კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თავსებადობა გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან.

1.10. თუ კურსი/კომპონენტი არ არის ECTS-ით გაანგარიშებული, მისი მოცულობის გამოთვლა ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სასწავლო მასალის მოცულობა, კურსის ტიპი და ა. შ.).

1.11. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამით.

2. კრედიტების აღიარების პროცედურა

2.1. კრედიტების აღიარებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

2.2. კრედიტების აღიარება ხორციელდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სათანადოდ დამოწმებული სასწავლო ბარათით. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო ბარათში ასახული ინფორმაცია იწვევს ეჭვს, სტუდენტს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტი/კრედიტები არ უღიარდება.

2.3. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია გთუნი-ს შესაბამისი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე, მაგრამ კურსის/კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, ხდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობის აღიარება.

2.4. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება გთუნი-ს შესაბამისი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობას, ხდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობის აღიარება, პირობით, რომ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში არსებობს „აღმატებული“ კრედიტების საჭირო რაოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტის აღიარება.

2.5. ერთი და იმავე სასწავლო კურსის არაერთჯერადი შეფასების არსებობის შემთხვევაში, გავლილ კურსს ენიჭება კრედიტების ჯამური რაოდენობა, ხოლო მისი შეფასებისას გამოითვლება შეფასებების საშუალო არითმეტიკული.

2.6. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

- 5 (ფრიადი) – 91 ქულა;
- 4 (კარგი) – 84 ქულა;
- 3 (დამაკმაყოფილებელი) – 71 ქულა.

2.7. იგივე წესი მოქმედებს ე. წ. დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში. არადიფერენცირებული ჩათვლის აღიარება ხდება, ასევე, მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100).

2.8. თუ სტუდენტის პირველადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს (ECTS) სისტემისგან განსხვავებულ შეფასების სისტემას, კურსის/კურსების შეფასების საკითხი წყდება კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნული შეფასების სისტემის განმარტებისა ან/და კურსის მოცულობის შესაბამისად.

2.9. არ აღიარებული კრედიტების აღდგენამ სტუდენტს შეიძლება დააკისროს დამატებით ფინანსური ვალდებულება.

2.10. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს უფლება აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ყოველწლიურად დამატებით აითვისოს არ აღიარებული 15 კრედიტი.

2.11. სტუდენტის ან გთუნი-ს მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გთუნი-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამასთან თავსებადობის ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტისთვის ინდივიდუალური პროგრამის შექმნის შესახებ, ამზადებს დასკვნას და აცნობს სტუდენტს. გადაწყვეტილება სტუდენტის შესაბამის პროგრამაზე გადაყვანის შესახებ მიიღება დეკანის

ან/და ფაკულტეტის საბჭოს მიერ და აღნიშნული გადაწყვეტილება (ფაკულტეტის საბჭოს ოქმის ამონაწერი ან/და დეკანის ბრძანება) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

2.12. თუ სასწავლო უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, გთუნი სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს შეთანხმებას სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ხელშეკრულებაში მითითებული პირობის სასწავლო პროცესი განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.13. მობილობის მიზნებისთვის კრედიტების აღიარების პროცესისას გამოიყენება სარეკომენდაციო ფორმა (დანართი 1), რომელიც ივსება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და ეცნობება სტუდენტს. სარეკომენდაციო ფორმა (დანართი 1) ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სასწავლო განყოფილების უფროსის მიერ.

2.14. გთუნი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე ფაკულტეტის წარდგინებით შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

კრედიტების აღიარების სარეკომენდაციო ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი

ფაკულტეტი დასახელება

მობილობის თარიღი

გთუნი		გადმომსვლელი უნივერსიტეტის დასახელება			აღიარებული ECTS კრედიტი	ასათვისებელი ECTS კრედიტები	სასწავლო წლების და სემესტრების მიხედვით ასათვისებელი კრედიტები							
№	სასწავლო კურსის/ მოდულის დასახელება	ECTS კრედიტები	სასწავლო კურსის/ მოდულის დასახელება	ECTS კრედიტები			I		II		III		IV	
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
1	2	3	4		5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1														
2														
3														
.														
.														
.														
N														
კრედიტების ჯამი														

სასწავლო განყოფილების ხელმძღვანელი

თანახმა ვარ სტუდენტი

2. გარდამავალი დებულებები

2.1. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

2.2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება გთუნი-ს მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით. ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადა

2.3. ჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის გთუნი-ს მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.